

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29
2022 წლის 22 დეკემბერი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“, „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 23-ე მუხლის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 03/01/2018 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.121.016268) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1, დანართი №3 და დანართი №4 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

დანართი №1

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები

№	იერარქიული რანგი	თანამდებობის დასახელება	სარგო თვეში (ლარი)
1		მერი	5570
2		მერის პირველი მოადგილე	4240
3		მერის მოადგილე	3870
4	პირველი რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	2750
5	მეორე რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	2000
6	მესამე რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1210
7	მესამე რანგი	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1150



8	მეოთხე რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1150
9	მეოთხე რანგი	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1150

დანართი №3

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოები

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები

№	პოზიციის დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1	მერის თანაშემწე	2	1430
2	ადმინისტრატორი	1	1430
3	მძღოლი	1	1430
4	მძღოლი	1	1000
5	პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე შტატგარეშე მოსამსახურე	1	1210
6	აიტი სპეციალისტი	1	1210
7	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	2	1100
8	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე შტატგარეშე მოსამსახურე საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში (პიარი)	1	1100
9	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე შტატგარეშე მოსამსახურე, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში	1	1210
10	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე შტატგარეშე მოსამსახურე, წარმომადგენლებთან კოორდინაციის საკითხებში	1	940
11	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	1	880
12	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე შტატგარეშე მოსამსახურე, ტექნიკური მუშაკი	1	880
13	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (ზედამხედველობის სამსახურში)	1	1210
სულ რაოდენობა		15	

დანართი №4



ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოები

1	მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში	21	1820
2	მერის წარმომადგენლის ასისტენტი (ქ. ვანის ადმ.ერთ.)	1	1210
3	მერის წარმომადგენლის ასისტენტი	39	800
სულ რაოდენობა		61	

